პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

,,კითხვის მოტივაციის პრობლემები დაწყებით კლასებში და მათი გაუმჯობესების გზები“

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N4 საჯარო სკოლის ქართული ენის (I-VI კლასების) პედაგოგი ნინო აზირაშვილი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი---------- 3

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა ---------- 4

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 5

თავი III. პრობლემა და საკვლევი საკითხი

-პრობლემის აქტუალობა ----------10

-პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები ---------- 10

-კვლევის მიზანი ----------11

-კვლევის ამოცანა ----------12

თავი IV. მეთოდოლოგია

-კვლევის სამიზნე ჯგუფი ---------- 12

-კვლევის მეთოდები ---------- 12

-კვლევის ვადები ---------- 13

თავი V. ინტერვენცია ---------- 14

-ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება ---------- 15

-ინტერვენციის შედეგები და მათი ანალიზი ---------- 19

თავი VI. კვლევის არსი და მისი დანერგვა სკოლაში---------- 25

-დასკვნა ---------- 26

-სავარაუდო ინტერვენციის განხორციელების გზები ---------- 26

-რეკომენდაციები ---------- 29

-კვლევის ნაკლოვანებები ---------- 29

თავი VII. გამოყენებული ლიტერატურა, კვლევის რეფლექსია---------- 30

შესავალი

სასკოლო ასაკის პირველი რამოდენიმე წელი ყველაზე საინტერესო პერიოდია იმ მხრივ, რომ მოსწავლეები კითხვას სწავლობენ. კითხვის უნარის განვითარებას გარკვეული სირთულეები ახლავს და ნებისმიერი საგნის მასწავლებელი უნდა ცდილობდეს ამ მიმართულებით შედეგების გაუმჯობესებას.

თითქოს ადვილია კითხვის სწავლა, მაგრამ მოსწავლეთა ნაწილი კითხულობს კარგად, მოსწავლეთა ნაწილს მაინც უჭირს კითხვა, ნაწილს მხოლოდ სიტყვის სწორად ამოკითხვა შეუძლია ტექსტიდან, რაც ტექსტის გაგება-გააზრებას ართულებს.

დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლებას უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის. სწრაფი და გააზრებული კითხვა დაეხმარება მას სწავლების შემდგომ საფეხურზე გაუადვილდეს სხვადასხვა საგნის გაგება-გააზრება. კითხვის უნარის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უნარები განაპირობებენ შემდგომში პიროვნების აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას.

წინამდებარე ნაშრომი არის სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N4 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიში. ნაშრომში განხილულია კითხვის მოტივაციის პრობლემები დაწყებით კლასებში და ამ პრობლემების გაუმჯობესების გზები, კითხვის სწავლების ეფექტური სტრატეგიების მნიშვნელობა კითხვის სწავლების პროცესში.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისგან.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

თავი III. პრობლემა და საკვლევი საკითხი

თავი IV. მეთოდოლოგია

თავი V. ინტერვენცია

თავი VI. კვლევის არსი და მისი დანერგვა სკოლაში

თავი VII. გამოყენებული ლიტერატურა, კვლევის რეფლექსია

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ახალციხის მუნიციპა;იტეტის ქალაქ ვალის N4 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ვალეში, წერეთლის N22-ში.

სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მდებარეობს მაღალმთიან დასახლებაში. სკოლაში არის 22 მასწავლებელი, აქედან 9 უფროსია. მასწავლებლები მუდმივად ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების პროცესში, პერიოდულად გადიან ტრენინგებს, მათ აქვთ საშუალება ხარისხიანად წარმართონ სწავლების პროცესი.

კვლევის საფუძველი

კვლევის საფუძველი გახდა ჩემი დაკვირვება და დაწყებითების კათედრის სხდომაზე მასწავლებელთა შენიშვნები, რომ მოსწავლეებს ჰქონდათ კითხვის პრობლემები, გამართულ-გაწაფული კითხვა, ლექსიკური მარაგი, ასევე პრობლემები ჰქონდათ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებაში.

ამ პრობლემის გამოსწორების მიზნით, გადავწყვიტე მათთვის მიმეცა დამატებითი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, თუმცა შევამჩნიე რომ ისინი ჩემს მიერ მითითებულ წიგნებს უინტერესოდ და ძალდატანებით კითხულობდნენ.

დავიწყე ფიქრი იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა გამეკეთებინა კითხვის მოტივაციის შექმნისთვის, რომ მათთვის კითხვის პროცესი საინტერესო გამეხადა, არ ყოფილიყო დასჯა ან ტანჯვა:

-კითხვის პრობლემა თვითონ კითხვის პროცესშია, წასაკითხი ტექსტის შინაარსში თუ მოცულობაში?

-მოტივაციის შექმნის რომელი ფორმაა უფრო მისაღები ასაკის შესაბამისად?

-ან იქნებ გადამწყვეტ როლს სასკოლო ან არასასკოლო საზოგადოება თამაშობს?

ეს ის კითხვებია, რომელთა მოსაგვარებლად გადავწყვიტე განმეხორციელებინა კვლევა დაწყებითი კლასის კათედრის წევრებთან, დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ერთად.

საკითხის მიმოხილვა

მოგეხსენებათ, მოზარდისთვის სწავლის საფუძველი კითხვის უნარია. ამიტომ ეთმობა დიდი ყურადღება დაწყებით კლასებში კითხვის სწავლებას.

კითხვა რთული პროცესია. იგი მოიაზრებს არა მხოლოდ ამოკითხვას, არამედ აზრის გამოტანას, გაგებას, მსჯელობას.

სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელი მუდმივად აკვირდება საკუთარ სამუშაო პროცესს, აკეთებს პრობლემების იდენტიფიცირებას, ანალიზს და შესაბამისად გეგმავს შემდგომ სამუშაო პროცესს.

ამგვარი მუშაობის ერთ-ერთი საშუალებაა საკუთარი პრაქტიკის კვლევა, რომლის მიზანიც მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაა.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი თემის უკეთ გააზრებისა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით გავეცანი შესაბამის ლიტერატურას: ,,კითხვის ეფექტური მეთოდები", ,,მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები", ,,ეფექტური საწავლება სკოლაში" და სხვა.

დაწყებით კლასებში გააზრებული კითხვის სწავლებას უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის, გააზრებული კითხვა დაეხმარება მას სწავლების შემდგომ საფეხურზე გაუადვილდეს სხვადასხვა დისციპლინების აღქმა-გაგება-გააზრება.კითხვის უნარის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უნარები განაპირობებენ პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებას მთელი კარიერის მანძილზე.

„კითხვის ეფექტური მეთოდები"- (მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისეროვნული ცენტრი) ვკითხულობთ, მკვლევარების აზრით, გამართული, გაწაფული-კითხვის ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე. კითხვის პრობლემებს განსაკუთრებულად ყურადღება დაწყებითი საფეხურის ასაკში უნდა მიექცეს.

თანამედროვე ქართულ სკოლაში კითხვის სწავლების აქტუალობას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს.

-ეფექტური კითხვის უნარი აკადემიური წარმატების ფუნდამენტია და ვინაიდან მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში განსხვავებულ ტექსტებთან უწევთ მუშაობა, კითხვის სწავლება ყველა საგნობრივი კათედრის პასუხისმგებლობაა.

-კითხვაში წარუმეტებელი ბავშვების უმრავლესობა წარუმატებელ მოსწავლედ გვევლინება.

კითხვის უნარის განვითარება სკოლამდელ ასაკში იწყება და სკოლის დასრულების შემდეგაც გრძელდება. მოსწავლის ეფექტურ მკითხველად ჩამოყალიბების ყველაზე შესაფერისი პერიოდი სწორედ სასკოლო ასაკია. სკოლამ საკმარისი დრო და ძალისხმევა უნდა დაუთმოს მოსწავლეს და შეუქმნას კითხვითი უნარების განვითარების შესაბამისი პირობები, რატა მოსწავლე შემდგომში გახდეს ეფექტური მკითხველი. ეფექტური მკითხველი:

-კითხულობს გამართულად, გამომეტყველებით და სათანადო სიჩქარით;

-ტექსტის გასააზრებლად იყენებს წინარე ცოდნას;

-კარგი მკითხველი გონებაში ქმნის აზრობრივ სურათებს ტექსტში მოცემული მოვლენების, მოქმედიპირების, საგნების, მათი თვისებების შესახებ;

-გამოთქვამს ვარაუდებს, რაც უბიძგებს, რომ ჩამოაყალიბოს მოლოდინები და ყურადღებით გააგრძელოს კითხვა, გადაამოწმოს ვარაუდები.

ეფექტური მკითხველის ჩამოყალიბების პროცესი ორი გზით მიმდინარეობს:

-მასწავლებელი თვითონ უჩვენებს მოსწავლეებს გამართული კითხვის მაგალითს, ასწავლის კითხვის სტრატეგიებს და მათი გამოყენების ხერხებს. მოსწავლეები ცდილობენ, ეს უნარები თვითონაც გამოიყენონ.

-მასწავლებელი აძლევსმოსწავლეებს მრავალფეროვან ტექსტებს და შესაბამის საკლასო ან საშინაო კითხვით დავალებებს.

კითხვის უნარის ჩამოყალიბება და განვითარება რამდენიმე ძირითად ასპექტს მოიცავს, ესენია: ზეპირიმეტყველება, წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა, ლექსიკური მარაგი, მთლიანი სიტყვების ამოცნობა, გამართული კითხვა, გაგება-გააზრება.

ბავშვები, რომლებიც გამართულ კითხვაში წარმატებას ვერ აღწევენ, კარგავენ კითხვის მოტივაციასაც და მძიმე შედეგის წინაშე დგანან, იმის მიუხედავად, რამდენად გონებამახვილნი არიან ისინი. საბედნიეროდ, მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად უღრმავდებიან კითხვის მნიშვნელობას.

ამრიგად, კითხვის ეფექტურობაზე დიდ გავლენას ახდენს კითხვის და ზოგადად, სწავლის მოტივაცია.

მოტივაცია არის სტიმული, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს-ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს. ამ მიმართულებით არსებულ **ფაქტორთა ერთობლიობა** გავლენას ახდენს მოტივაციის ამაღლებაზე.

1.**მოსწავლის ფაქტორი**

როგორც ვიცით, მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური და კულტურული მდგომარეობით, მათ უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები და მოლოდინები.

სკოლაში მნიშვნელოვანია ორივე ტიპის (გარეგანი თუ შინაგანი) მოტივაციის როლი. გარეგანი მოტივაციისას მოსწავლე მიმართულია წახალისებისკენ, შინაგან მოტივაციას კი ცნობისმოყვარეობა და სოციალური ინტერაქცია იწვევს და წახალისების ფაქტორი მინიმუმია. ამიტომ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეინიშნება, უნდა განვსაზღვროთ ის სტრატეგიები, რომელიც მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს.

მოსწავლეთა მოტივაციაზე გავლენას ახდენს როგორც ის გარემო, საიდანაც მოდიან, ასევე გარემო, სადაც უწევთ ყოფნა. მოსწავლეთა ჩართვამ საგაკვეთილო პროცესის მსვლელობაში, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეს აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

2.**მასწავლებლის ფაქტორი**

მოსწავლის მამოტივირებელი გარკვეულწილად არის მასწავლებელიც. მოსწავლეს აქვს მოლოდინი იმისა, რომ მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე, ამიტომ უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას ახალი ცოდნის გადაცემაზე.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს მასწავლებლის პატივისცემა, მის მიმართ ინტერესები. მოსწავლე უკეთესად სწავლობს, როცა გაკვეთილი მიმდინარეობს მშვიდად, როცა მასწავლებელი იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ ასხვავებს

მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების მიხედვით. მოტივაციის ამაღლებას (არა მარტო დაწყებით კლასებში) იწვევს თამაშის ტექნიკა, სიტუაციური ანალიზი, სადაც ყველა მოსწავლე თანაბრად იქნება ჩართული.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, გააღვივოს მათი ცნობისმოყვარეობა, მოსწავლის ძლიერი მხარე გამოიყენოს და ამით მიიპყროს მოსწავლის ყურადღება. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია მასწავლებელი იყოს ენთუზიაზმით სავსე.

საგნის ცოდნასთან ერთად მასწავლებელი უნდა იყოს დიპლომატიც. მოსწავლე, რომელიც გრძნობს მხარდაჭერას და ნდობას, თავდაჯერებულია. ასეთ შემთხვევაში კი მეტია მაღალი მოტივაციის ალბათობა.

3.შინაარსის ფაქტორი

მოსწავლის მოტივაციას აღძრავს შინაარსიც, რომლის გადაცემასაც ვცდილობთ. თემა უნდა იყოს მოსწავლის ინტერესების შესაბამისი და გასაგები. კითხვის მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეს მივცეთ არჩევანის შესაძლებლობა, რომელი წიგნი წაიკითხოს ან როგორი ფორმით წარმოადგინოს დავალება.

4.სასწავლო გარემოს ფაქტორი

იმ გარემოს შექმნაზე, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, მასწავლებელს დიდი წვლილი მიუძღვის. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი, არა სტრესული გარემო. მოსწავლეთა ყურადღების მოზიდვისთვის კარგია თუ მრავლად გამოვიყენებთ მაგალითებს ყოველდღიური ცხოვრებიდან.

მხარდაჭერისკენ მიმართული გარემო მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლის მოტივაციის ზრდისთვის. მოსწავლე მუდმივად იღებს უკუკავშირს მასწავლებლისგან და მისთვის დადებითი ან უარყოფითი უკუკავშირი არ უნდა იყოს მისი წარმატების ან წარუმატებლობის განმსაზღვრელი.

5.სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები

ა) ცნობისმოყვარეობა

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა, სწავლა კი მაშინ არის ყველაზე ეფექტური, როდესაც მიმართულია მოსწავლის ინტერესებისკენ.

ბ) თვითრწმენა

იმისათვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია.

მოსწავლეთა თვითრწმენის განმტკიცებისთვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეთა ცოდნის დონისა და კომპეტენციების შესახებ და შესაბამისად გეგმავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც პოზიტიურ რწმენას განაპირობებს. დასაწყისისთვის იოლი დავალებების მიცემა უზრუნველყოფს მათი წარმატების განცდას, წახალისება კი განუმტკიცებს თვითრწმენას.

გ) მოთხოვნილებები

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება. ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაამ მასლოუ ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს:

1.ბიოლოგიური (კვება, წყურვილი, ძილი);

2.უსაფრთხოება (სტაბილურობა, დაცულობის განცდა);

3.კუთვნილება და სიყვარული (ოჯახი, ურთიერთობები);

4.პატივისცემა და აღიარება (სტატუსი, წარმატება, რეპუტაცია);

5.თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

ამ მოდელში პირველი სამი მოთხოვნილება დაბალ საფეხურზე განიხილება, შემდეგი ორი კი-მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია მაღალი მოთხოვნების ყოველდღიურ აუცილებლობად ქცევაზე. მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ ისეთი უნარები, როგორიცაა გუნდური მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება.

მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები და მოთხოვნილებები, უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები და უზრუნველყოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

ამრიგად, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა წარმატებაში.

თავი III. პრობლემა და საკვლევი საკითხი

პრობლემის აქტუალობა

სკოლის დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია მოზარდებს განუვითარდეთ კითხვის უნარი. მნიშვნელოვანია დროულად აღმოჩნდეს ის სირთულეები, რომლებიც კითხვის დროს წარმოიშობა, რათა მოიძებნოს მათი დაძლევის მეთოდები და გაუმჯობესების გზები.

დაწყებით კლასებში ხშირად ვაწყდებით ერთმანეთისგან განსხვავებულ ფაქტებს: არიან მოსწავლეები, რომლების კითხულობენ გაწაფულად, იგებენ და გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს. ასეთ მოსწავლეებს კითხვის მოტივაციაც გააჩნიათ და ნებისმიერი ტიპის ტექსტს ხალისით და ინტერესით კითხულობენ. მეორე მხრივ კი, არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ კითხვა და ეს იწვევს კითხვის მოტივაციის დაქვეითებას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათ კარგად გამოსდით სხვისი წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა, თხრობა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა საერთო **პრობლემა: მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ კითხვის მოტივაცია, შესაბამისად წარმოიქმნება კითხვის პრობლემები, რაც უარყოფითად აისახება ნებისმიერი საგნის სწავლებაზე.**

მცდარია შეხედულება, რომ კითხვის სწავლება მხოლოდ ქართულის გაკვეთილზეა საჭირო და შესაძლებელი. სწრაფი და გააზრებული კითხვა მნიშვნელოვანია ყველა საგანში. მოსწავლე, რომელიც ვერ კითხულობს სწრაფად, გააზრებულად, ვერ იგებს ტექსტის, დავალების შინაარსს და ვერ ასრულებს შესაბამის დავალებასაც.

პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები

კითხვის მოტივაციისა და კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ერთ-ერთ სირთულედ შეიძლება განვიხილოთ **კითხვის პრაქტიკის ნაკლებობა** და კითხვისთვის საჭირო დროის დეფიციტი. მოსწავლეების მიზანია დროულად მოამზადონ მხოლოდ სკოლაში მიცემული საშინაო დავალებები, ისინი არ ზრუნავენ დამატებით წიგნების კითხვაზე. არადა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კითხვა პრაქტიკის შედეგად ვითარდება.

კითხვის სწავლაში არსებობს ე. წ. ,,ოქროს წესი“-ბავშვებმა იკითხონ ბევრი და იკითხონ ხშირად. რაც მეტს ვკითხულობთ, მით უკეთესად ვსწავლობთ კითხვას. მოსწავლეები უნდა კითხულობდნენ ასაკისთვის შესაფერის საკითხავ მასალას. ეს საჭიროა როგორც კითხვის ტექნიკის გასამართად, ისე კითხვის მოტივაციის შესანარჩუნებლად.

-მოტივაცია ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია სწავლის პროცესში. მოტივირებულ მოსწავლეს სიამოვნებას ანიჭებს კითხვის პროცესი. კითხვის უწყვეტი რეჟიმი კი განაპირობებს იმას, რომ მოსწავლე გაიწაფება კითხვაში, მისი ყველა ორგანი-თვალი, ყური, ენა-აქტიურად ამოძრავდება და კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით იგი კარგ მკითხველად გაიზრდება.

-სასკოლო ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია **მშობლის როლი.** მშობელი არის კითხვის დროს მაგალითი შვილისთვის. მშობელი, რომელიც აქტიური მკითხველია, შვილთან ერთად მსჯელობს წაკითხულის შესახებ და ბავშვსაც უჩნდება კითხვის სურვილი. მშობელთა ჩართულობის ნაკლებობა კი უარყოფით კვალს ტოვებს მოზარდის ცხოვრებაში, რაც შესაბამისად აისახება მის წარმატებაზე.

ტერმინი ,,მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა სწავლაზე როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებას. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო-საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, კეთილგანწყობილნი არიან სკოლის მიმართ, აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა, აქვთ ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია:

- კითხვის პრობლემების დადგენა კითხვის მოტივაციის შექმნისთვის დაწყებით კლასებში;

- პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა, პრაქტიკაში დანერგვა და შედეგების გაუმჯობესება.

მუშაობის პროცესში მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან საუბარი და მათი დახმარება პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

კვლევამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს:

-რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო გარემოს კითხვის სწავლაში?

-რა დროს უთმობენ ბავშვები კითხვას?

-რა სირთულეებს ხვდებიან კითხვისას?

-როგორ ზრუნავენ მშობლები შვილების წიგნიერებაზე?

-რა როლი აკისრიათ სხვადასხვა სტრატეგიებსა და მეთოდებს კითხვის სწავლების პროცესში?

კვლევის ამოცანა

-დაკვირვება თითოეული მოსწავლის კითხვის ხარისხსა და პრობლემებზე;

-მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა;

-მონაცემების ანალიზი;

-შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია.

თავი IV. მეთოდოლოგია-კვლევის დიზაინი

კვლევის სამიზნე ჯგუფი

-დაწყებითი კლასების მოსწავლეები;

-დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლები;

-დაწყებით კლასებში შემსვლელი პედაგოგები, დაწყებითების კათედრის წევრები.

კვლევის მეთოდები

მონაცემთა შეგროვება განვახორციელე შემდეგი მეთოდების გამოყენებით.

გამოკითხვა-ჩავატარე შემდეგ კითხვაზე პასუხის მისაღებად:

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის კითხვის პრობლემების მოგვარება?

ანკეტირება- კითხვარები მოვამზადე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების, მათი მშობლებისა და დაწყებითების კათედრის წევრებისათვის.

კითხვარები იყო ანონიმური, რათა რესპოდენტი პასუხის გაცემისას ყოფილიყო გულწრფელი და პასუხებიც შესაბამისად, ზუსტი და სანდო.

ინტერვიუ - დამეხმარა გამერკვია პედაგოგებისა და მოსწავლეების დამოკიდებულება კითხვის პრობლემის მიმართ.

კვლევის ვადები/ინტერვენციის დაგეგმვა

2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრი

აქტივობა/პერიოდი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის შერჩევა				
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება				
ინტერვიუები				
კითხვარების შედგენა				
გამოკითხვა				
მონაცემთა ანალიზი				
ინტერვენციების განხორციელება				
სავარაუდო ინტერვენციის ანალიზი-განხილვა				
ინტერვენციის შედეგების ანალიზი				

საბოლოო შედეგების გაცნობა დაწყებითების კათედრასთან				

თავი V. ინტერვენცია

ინტერვენციის აღწერა

პრობლემის შერჩევისა და კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავების მიზნით ერთი თვის მანძილზე ვაკვირდებოდი დაწყებითი საფეხურის თითოეულ მოსწავლეს გაკვეთილზეც და დასვენებაზეც. ამ **დაკვირვება**მ გამოკვეთა ის პრობლემა, რასაც კითხვის მოტივაცია ჰქვია. მოსწავლეთა ნაწილი ყოველთვის მომზადებული მოდიოდა სკოლაში; მოსწავლეთა ნაწილი, რომელსაც სახლში წაკითხული-მომზადებული არ ჰქონდა გაკვეთილი, თანაკლასელს სთხოვდა, რომ დასვენებაზე მისთვის მოეყოლა ტექსტი, რათა გაკვეთილზე მასწავლებლისთვის ჩაებარებინა; მოსწავლეთა ნაწილი კი ხშირად იგონებდა სხვადასხვა მიზეზს მოუმზადებლობის გასამართლებლად.

შესაბამისად ვაწარმოებდი შემდეგი სახის დაკვირვების ცხრილს და ვავსებდი - ხშირად, იშვიათად, არასდროს- სიმბოლოებით.

მოსწავლე	დაინტერესებულია და კითხულობს სახლში	განვითარებული აქვს კითხვის უნარი	აქტიურობს გაკვეთილზე	გამოირჩევა პასუხისმგებლობის გრძნობით	უყვარს სხვების დახმარება სწავლაში
გვარი/სახელი					
გვარი/სახელი					

გვარი/სახელი					

ცალკე, ფოკუსირებული დაკვირვება ვაწარმოე დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებზე. მათ სუსტად აქვთ განვითარებული კითხვის უნარები, ვერ იყენებენ კითხვის სტრატეგიებს, სახლშიც და დასვენებებზეც მხოლოდ თამაშზე არიან ორიენტირებულნი. ზოგიერთი მოსწავლე კი (ჩემი ორი ასეთი მოსწავლე), მიუხედავად იმისა, რომ სუსტად ფლობს კითხვის უნარს, გამოირჩევა ყურადღების კონცენტრაციითა და ზეპირი მეხსიერების უნარით, გაკვეთილზე აქტიურადაა ჩართული, იმახსოვრებს დეტალებს და პასუხობს კითხვებს.

ინტერვიუ ჩავწერე დაწყებით კლასებში შემსვლელ მასწავლებლებთან. ამ ინტერვიუებით შევიტყვე, რომ მოსწავლეებს ყველა საგანში აქვთ კითხვისა და გაგება-გააზრების პრობლემა, რაც აქვეითებს მათ აკადემიურ მოსწრებას. მასწავლებლებმა ვიმსჯელეთ პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, ვისაუბრეთ პრობლემის მოგვარების გზებზე. ამ ინტერვიუებმა უფრო ნათლად დამანახა საკვლევი პრობლემა და პრობლემის გამოსწორების აუცილებლობა.

ჩემი რესპოდენტები, გარდა მასწავლებლებისა იყვნენ მოსწავლეები და მშობლები, რომლებიც წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. მათ განვუმარტე, რომ აღნიშნული კვლევა ემსახურებოდა მხოლოდ მოსწავლეთა პრობლემებს, კითხვის ეტაპზე ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენას და მიზნად ისახავდა გასაუმჯობესებელი გზების ძიებას.

კვლევის ფოკუს-ჯგუფად შევარჩიე ჩვენი სკოლის მშობელ-მასწავლებლები. მათგან მიღებული ინფორმაცია გამოვიყენე კითხვარის შედგენაში. ამ მეთოდით შევისწავლე კვლევასთან დაკავშირებული ზოგადი ფონი, რაც დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვასა და კითხვარების მომზადებაში.

ამ თემაზე უფრო მეტი ინფორმაციის მოძიებისა და შედეგების კიდევ უფრო მეტად გაანალიზებისათვის ჩავატარე **ანკეტირება.** კითხვარი მომზადდა ყველა მოსწავლისა და მშობლისთვის. კითხვარები ყველას გავუგზავნე სახლში, რათა სკოლაში შევსებით გამოწვეული უხერხულობის მომენტი გამომერიცხა და მიმეღო სწორი ინფორმაცია.

კითხვარების შევსებამდე მოსწავლეებთან ვისაუბრე შემდეგი კითხვების გარშემო:

სთხოვ თუ არა ოჯახის წევრებს, რომ წაგიკითხონ რამე?

გიკითხავენ უფროსები საბავშვო წიგნებს?

ინტერესით უსმენ, როდესაც რამეს გიკითხავენ, თუ არ ინტერესდები?

ყველაზე ძალიან რა გაინტერესებს,-წიგნები ცხოველებზე, მანქანებზე, პრინცესებზე, ბავშვებზე, მეგობრობაზე, სასაცილო ამბებზე?

რა უფრო მოგწონს - ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები, გამოცანები?

მოგწონს როცა კითხულობ? თუ არა, რატომ?

რა გიადვილდება ან გიძნელდება კითხვის დროს?

თუ უყვები ხოლმე ვინმეს წაკითხულის შესახებ?

შენი აზრით, რაში გჭირდება ყველაზე მეტად დახმარება?

კითხვები მოსწავლეებისთვის:

1. რა სიხშირით კითხულობთ კლასგარეშე ლიტერატურას?

-კვირაში ერთხელ

-თვეში ერთხელ

-უფრო იშვიათად

2. რატომ კითხულობთ?

- მასწავლებლის დავალებით

- მშობლის მოთხოვნით

- საჭიროებისთვის

3. როცა წაკითხვა არ გინდა, რა არის ამის მიზეზი?

-სიზარმაცე

-კითხვის პროცესით დაღლა

-შინაარსით დაუინტერესებლობა

4. რომელი გზით გირჩევნია ინფორმაციის მიღება?

-წიგნის წაკითხვით

-კომპიუტერიდან

-სხვისი მონათხრობის მოსმენით

5. ვის უზიარებ წაკითხულს?

-მასწავლებელს

-მშობელს

-მეგობარს

6. როგორი ტიპის ტექსტს კითხულობ ხალისიანად?

-ზღაპრებს

-მხატვრულ ტექსტებს

-საინფორმაციო ტექსტებს

7. სასკოლო მასალა, რომლის წაკითხვაც მოგეთხოვება

-ბევრია

-ზომიერია

-მცირეა

8. კითხვის რომელი სტრატეგია მოგწონს?

-პერსონაჟის რუკა

-ვარაუდების გამოთქმა

-ჩანაწერთა დღიურები

9. როგორ ამოწმებ შენს თავს, ისწავლე თუ არა?

-წიგნს დახურავ და ყვები

-უყვები ოჯახის წევრს

-კითხვებს უსვამ შენს თავს

10. როცა წაკითხული გაუგებარია

-წყვეტ კითხვას

-მაინც აგრძელებ კითხვას

-თავიდან იწყებ კითხვას

კითხვები მშობლებისთვის

1. რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს?

-კითხულობს

-თამაშობს

2. კითხულობთ თუ არა თავისუფალ დროს?

-დიახ

-არა

3. გაქვთ ოჯახში თქვენი შვილის ასაკის შესაბამისი საოჯახო ბიბლიოთეკა?

-დიახ

-არა

4. თუ შენმა შვილმა დავალება ვერ გაიგო

-შენ ეხმარები და უხსნი

-ფიქრობ, რომ მასწავლებელი თვითონ აუხსნის გაკვეთილზე

5. შენი აზრით, რატომ ვერ იგებს მოსწავლე გაკვეთილს?

-ყურადღებით არ უსმენს

-არ აქვს მოტივაცია, რომ გაიგოს გაკვეთილი

6. თუ შენ შვილს უჭირს კითხვა და გააზრება, შენი აზრით, ამის მიზეზია

-არ აინტერესებს, რასაც კითხულობს

-ვერ ფლობს კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს

7. ხართ თუ არა ინფორმირებული თქვენი შვილის სწავლის შესახებ?

-დიახ

-არა

8. როგორი პროცესია თქვენი შვილისთვის გაკვეთილების მომზადება?

-რთული

-მარტივი

9. არსებობს თუ არა რაიმე მიზეზი, რაც ხელს უშლის თქვენს შვილს სწავლის პროცესში?

-კი

-არა

10. მომეცით რჩევა, რომელიც უნდა გავითვალისწინო, როგორც მასწავლებელმა

მონაცემთა ანალიზი/კვლევის შედეგები

გამოკითხვამ (ინტერვიუმ) სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან საშუალება მომცა განმესაზღვრა პედაგოგთა და მოსწავლეთა დამოკიდებულება კითხვის პრობლემებისა და კითხვის მოტივაციის მიმართ. გამოკითხვა ჩატარდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, გამოკითხვაში ყველა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

კითხვარები მოვამზადე წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე და ამით შევაგროვე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სიხშირით აძლევენ მასწავლებლები მოსწავლეებს წასაკითხ მასალას, რა სიხშირით უზიარებენ მოსწავლეები მასწავლებლებს წაკითხულ ნაწარმოებებს.

პედაგოგების გამოკითხვის მიზანი იყო დამედგინა, აქვთ თუ არა პრობლემები ამ კუთხით და როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ დაწყებითების კათედრის მასწავლებლები. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი კითხვის პროცესს უინტერესოდ უდგება.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეებისთვის წასაკითხი ტექსტის მიცემის დროს და ტექსტთან თანმდევი დავალების მიცემისას მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი თითქმის ყოველთვის იძლევა ინსტრუქციას.

მონაცემთა ანალიზმა მომცა საშუალება განმესაზღვრა მშობლების, მოსწავლეებისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლების დამოკიდებულება სკოლისა და სწავლის მიმართ.

მოსწავლე კითხულობს

84 %

- მასწავლებლის ან მშობლის მოთხოვნით

16 %

- საჭიროებისათვის

მოსწავლისათვის არ წაკითხვის მიზეზია

მოსწავლე წაკითხულ ნაწარმოებს უზიარებს/უყვება:

82 % { • მასწავლებელს

18 % { • მშობელს

მოსწავლეთათვის წასაკითხი მასალა:

ზომიერია

- 72 %

მცირეა

- 28 %

მოსწავლეები ხალისით კითხულობენ:



მოსწავლე კითხულობს

თავისუფალ დროს, მშობელთა

25 % { • კითხულობს

75 % { • სხვა საქმით კავდება

თუ შვილმა დავალება ვერ გაიგო, მშობელი

ეხმარება და უხსნის

- 18 %

ფიქრობს, რომ მასწავლებელი აუხსნის მომდევნო გაკვეთილზე

- 82 %

თავი VI.

კვლევის არსი და მისი დანერგვა სკოლაში

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევების კომპეტენციის უნარის ფლობა: მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში. შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. სწორედ ამიტომ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის განხორციელება.

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატიის, პროექტის და სხვა სახით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო წამოჭრილი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად და, რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების, დირექტორების, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის, სკოლის საქმიანობის, სწავლა-სწავლების და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაუმჯობესების მიზნით. პრაქტიკის კვლევის განმხორციელებელმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევაში ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუკეთესო საშუალებაა, პროფესიულად მზარდი მასწავლებელი

მუდმივად განაახლებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა და კვლევის შედეგების გაზიარება დაეხმარება კოლეგებს თვითონ წარმართონ პედაგოგიური კვლევა, პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს კვლევის შედეგების გაცნობა დააკვირდნენ მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს.

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევისას მოპოვებული მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება, რომელთა დანერგვაც, ვფიქრობ, რომ გააუმჯობესებს სწავლის პროცესს:

● მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გაცნობა და მათი გამოყენების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა

● გამოცდილების გაზიარება დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს შორის

● მშობელთა ჩართულობის გაზრდა მოსწავლეთა სწავლის პროცესში, მეტი თანამშრომლობა მასწავლებლებთან

სავარაუდო ინტერვენცია და განხორციელების გზები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე საკითხი:

1. დაწყებითი საფეხურის **მასწავლებლებისთვის შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა.** კათედრის სხდომაზე დეტალურად განვიხილეთ მოსწავლეთა მამოტივირებელი ფაქტორები და კითხვის ეფექტური მეთოდები:

კითხვის მოტივაციის ზრდას განაპირობებს მთავარი ფაქტორი, ესაა კითხვის ეფექტურობა. ეფექტური კითხვის უნარის ჩამოყალიბება კი რამდენიმე ძირითად ასპექტს მოიცავს. ესენია: ზეპირი მეტყველება, წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა, ლექსიკური მარაგი, მთლიანი სიტყვების ამოცნობა, გამართული კითხვა, გაგება-გააზრება. ეფექტური მკითხველი კითხულობს გამართულად, უშეცდომოდ, გაბმულად, გამომეტყველებით და სათანადო სიჩქარით; ტექსტის გააზრებისთვის

იყენებს წინარე ცოდნას; კარგი მკითხველი გონებაში ქმნის აზრობრივ ხატებს მოვლენების, მოქმედი პირების და საგნების შესახებ; გამოთქვამს ვარაუდებს, რაც უბიძგებს ყურადღებით გააგრძელოს კითხვა; აკავშირებს ტექსტის ნაწილებს, ტექსტს აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან ან გარესამყაროსთან (,,კითხვის ეფექტური მეთოდები“ , სასწავლო-მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი).

2. დაწყებითი საფეხურის **მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.**

ეფექტური თანამშრომლობისთვის სკოლაში დავნერგეთ შემდეგი მოდელები:

ინტეგრირებული გაკვეთილები, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ურთიერთდასწრება და უკუკავშირი.

გამოცდილების გაზიარების მიზნით აპრილ-მაისში მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ერთობლივად შემუშავებული გეგმებით ჩაატარა საჩვენებელი გაკვეთილები სხვადასხვა საგანში, გაკვეთილებს დაესწრნენ კათედრის წევრები, მასწავლებლებმა მიიღეს შესაბამისი უკუკავშირი კოლეგებისგან. ეს პროცესი დაწყებული იყო 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისიდანვე, კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ჩატარებით სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა გაკვეთილების გეგმის შედგენა, ბულინგის თემა.

კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება, შეჯერება და მეთოდების შერჩევა მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, საუკეთესო საშუალებაა სწავლა-სწავლების პროცესის წინსვლისთვის და მოსწავლეთა წარმატების საწინდარია.

განათლების ფსიქოლოგების მოსაზრებით, თანამშრომლური ჯგუფები და თანამშრომლური მუშაობის მოდელები დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებში თანაგრძნობის, პატივისცემის, ტოლერანტობის, მეგობრობის, ნდობის, ემპათიის მაჩვენებლების ზრდაზე. თანამშრომლებთან ურთიერთობა, როგორც პროფესიონალიზმის მაჩვენებელი და გამომხატველი ეფექტური სტრატეგია, გაწერილია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაშიც“.

ამრიგად, როდესაც მოსწავლეს აქვს გარკვეული საგანმანათლებლო პრობლემები, მასწავლებელი ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს კოლეგებთან, იკვლიოს არსებული სიტუაცია და დააკვირდეს, მოსწავლეს ერთი საგნის ფარგლებში შეთავაზებული მასალის დაძლევა უჭირს მხოლოდ თუ სხვა საგნების შემთხვევაშიც იკვეთება მსგავსი პრობლემები. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ არ დაირღვეს მოსწავლის უფლებები და არ იქნას გამოტანილი ზედაპირული დასკვნები.

მოქმედებების ასეთი თანამიმდევრულობის შემდეგ, მასწავლებლის გადაწყვეტილებები აღარ იქნება ერთპიროვნული, მიკერძოებული, სუბიექტური და რეალურად მოსწავლის დახმარებაზე იქნება მიმართული.

3. კითხვისა და სწავლის **მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა.**

ცნობილია, რომ ადამიანის ბუნებას მისი მოთხოვნილებები, მისწრაფებები და შესაძლებლობები განსაზღვრავს. შესაძლებლობები მრავალნაირია – ზოგიერთი თავად ადამიანისგან მომდინარეობს, ზოგიერთი კი – ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი გარემოსგან. უნარი არის ადამიანის ის თანდაყოლილი შინაგანი შესაძლებლობა, რომელიც ადამიანს დაბადებიდან აქვს. ჩვევას უწოდებენ ვარჯიშის შედეგად შეძენილ, მეტ-ნაკლებად ავტომატიზებულ მოქმედებას. მისი შეძენა გარკვეული ვარჯიშის, ე. ი. მიზანდასახული გამეორების შედეგად შეიძლება. ჩვევას ადამიანი იძენს. უნარის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიქმნება მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო.

ადამიანის ყველა მოქმედებას, საქციელს მოტივაცია უდევს საფუძვლად. დიმიტრი უზნაძის მტკიცებით, სასკოლო ასაკის ადამიანების ქცევის ძირითადი სახე სწავლაა.

მოსწავლისთვის სასკოლო აქტივობები შეიძლება იყოს შინაგანად ან გარეგანად წამახალისებელი – სხვა სიტყვებით, განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით. აქტივობები, რომელიც გამოწვეულია შინაგანი მოტივაციით, მოსწავლისათვის თავისთავად ძალიან საინტერესოა. გარეგანი მოტივაციის

დროს კი მისთვის სასწავლო აქტივობა თავისთავად სასიამოვნო არ არის, მაგრამ მაინც ახორციელებს მას ერთგვარი ჯილდოს მისაღებად (კარგი ნიშანი, შექება)

მოსწავლეთა მოტივაციაზე დადებითად იმოქმედა სკოლაში **მკითხველთა კლუბის** დაარსებამ, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ წაკითხული ტექსტების ერთმანეთისთვის გაზიარება და რჩევების მიცემა. წასაკითხი ლიტერატურის არჩევანის თავისუფლება იწვევს შინაგანი მოტივაციის ამაღლებას, წაკითხვის შემდეგი შექება კი გარეგან მოტივაციას ააქტიურებს.

4. **მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობის** გაღრმავება.

ხშირად მშობელთა ჩართულობა მასწავლებლისთვის რთულად მისაღწევი მისიაა. ამ გამოწვევის მთავარ მიზეზად მშობელთა დაკავებულობა, უდროობა ან ბავშვთა განათლების მიმართ მათი ინტერესის ნაკლებობა მიიჩნევა.

მშობელთა ჩართულობისთვის ჩვენი სკოლის სასკოლო საზოგადოება სხვადასხვა სტრატეგიას მივმართავთ: კომუნიკაცია, ოჯახის ჩართვა სასწავლო აქტივობებში, მშობლების მხარდაჭერა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილეობა და სხვა. მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც კარი ღიაა ყველას მონაწილეობისთვის, ვფოკუსირებთ ძლიერ მხარეებზე და შესაძლებლობებზე ურთიერთობის პროცესში.

დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში ერთობლივად ჩატარდა მშობელთა კრებები. შეხვედრაზე პედაგოგებმა მშობლებს ვესაუბრეთ კითხვის მნიშვნელობაზე, კითხვის პრობლემებზე და პრობლემის გამოსწორების გზებზე. ავუხსენით, რომ მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლის მოტივაციისათვის და მივეცით რეკომენდაციები, თუ როგორ ჩაერთონ თავისი შვილებისთვის სწავლის იმ მნიშვნელოვანი კომპონენტის პროცესში, რასაც კითხვა და კითხვის მოტივაცია ჰქვია.

რეკომენდაციები

● დაწყებითი კლასების მასწავლებლები შევთანხმდით, რომ საგაკვეთილო პროცესი ხშირად გავამდიდროთ იმ მეთოდებითა და აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს კითხვის უნარის განვითარებას (როლური თამაშები, მკითხველთა თეატრი);

● სხვადასხვა მეთოდის მიზნობრივი გამოყენება გააუმჯობესებს სწავლება-სწავლის შედეგს;

● დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თუ მუდმივად აკონტროლებ შესრულების ხარისხს, მაშინ წინსვლა გარანტირებულია, მასწავლებლების მხრიდან კი მუდმივი უკუკავშირი ხელს შეუწყობს ხარისხიან მუშაობის პროცესს;

● მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შერჩეული აქტივობები გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ერთმა მშობელმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე. სასურველი იქნებოდა კვლევის მონაწილეთა

სრული ჩართულობის მიღწევა, რათა კიდევ უფრო რეალური შედეგი მიმეღო. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა ვთვლი, რომ შედეგები რეალურია. შესაძლებელია უმნიშვნელო სხვაობა ყოფილიყო ყველა მშობლის ჩართვის შემთხვევაში. უარი იმ მშობელმა თქვა, ვის შვილსაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს.

თავი VII.

გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია

-,,განვითარებისა და სწავლის თეორიები“, ,,მოტივაცია“-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013

- გზამკვლევი მასწავლებლებისთვის -2009

-,,ეფექტური სწავლება სკოლაში“- ჯ. მარზანო, ჯ. ფიქერინგი, ი. ფოლოქი

- ინტერნეტგაზეთი-mastsavlebeli.ge

-,,კითხვის ეფექტური მეთოდები“, სასწავლო მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

-,,კითხვისა და წერის სწავლებისთვის დაწყებით საფეხურზე“(I-VI), სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული

-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი, II ნაწილი

-სატრენინგო მასალა ,,პრაქტიკული კვლევა“, ,,პედაგოგიური კვლევის მეთოდები“

-სატრენინგო მასალა ,,წიგნიერების კომპეტენციის განვითარება სადამრიგებლო საათზე“

-,,პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.

კვლევის რეფლექსია

პრაქტიკული კვლევა განხორციელდა სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N4 საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურზე. საკვლევი საკითხი იყო კითხვის მოტივაციის პრობლემების აღმოჩენა და მათი გაუმჯობესების გზების ძიება.

ყველას ჰყავს ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ კითხვის პრობლემები და აქვთ დაბალი მოტივაცია. შესაბამისად, ისინი ვერ აღწევენ ესგ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. ეს პრობლემა ჩემთვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია. ამიტომაც ავირჩიე საკვლევ საკითხად.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ წავიკითხე პროფესიული ლიტერატურული მასალები, რათა უკეთ გავრკვეულიყავი იმ პრობლემაში, რომლის გამოკვლევაც გადავწყვიტე. ლიტერატურის მიმოხილვა დამეხმარა ცოდნის გაღრმავებაში, პრობლემის გადაჭრის გზების უკეთ დანახვაში.

აღმოჩენილ პრობლემასთან გასამკლავებლად მოვიძიე და გავეცანი სათანადო ლიტერატურას. გამოვკვეთე პრობლემები და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზები , მიზნად დავისახე აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელი ოპტიმალური გზების ძიება.

კვლევის მთავარ კითხვაზე: **როგორ აღმოვფხვრათ მოსწავლეებში კითხვის პრობლემები და გავზარდოთ კითხვის მოტივაცია?**-პასუხის გასაცემად და ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო პრობლემის გამომწვევი მიზეზების ჩამოყალიბება.

საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენად დაწყებითების კათედრის წევრებთან განვახორციელე ინტერვიუ, რომლის შემდეგ შევჯერდი, რა იყო პრობლემის გამომწვევი მიზეზები და გასაუმჯობესებელი. შესაბამისად დავგეგმე ინტერვენციები, აქტივობები გავანაწილე დროში, შევაგროვე საჭირო მონაცემები და გავაკეთე მათი ანალიზი. შევიმუშავე პრობლემის გადაჭრის სავარაუდო ინტერვენციები, გავაკეთე დასკვნა და რეკომენდაციები გავაცანი დაინტერესებულ პირებს.

პრაქტიკის კვლევამ ხელი შემიწყო პროფესიულ განვითარებაში, გაიზარდა თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება.

კვლევის შედეგების გასაცნობად კოლეგებს ჩემი კვლევა მივაწოდე, რათა რამდენიმე დღეში განგვეხილა ერთობლივად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევიკრიბეთ კათედრის სხდომაზე, სადაც გავეცანი კოლეგების აზრს.

კოლეგებთან თანამშრომლობამ, დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა გაგვიადვილა პრობლემასთან გამკლავება. გაწეულმა სამუშაოებმა უკეთესი შედეგი გვიჩვენა, გაიზარდა მოსწავლეების ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და სწავლისადმი ინტერესი.

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. დაინტერესდნენ შედეგებით და მომავალში თვითონაც აპირებენ მსგავს კვლევებზე მუშაობას. შედეგები საინტერესო იქნება, რადგან ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე დგება მასწავლებელი.

კვლევის გაზიარების შემდეგ კოლეგებისგან მივიღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი უკუკავშირები. უკუკავშირების ანალიზი მაძლევს საშუალებას დავასკვნა, რომ კოლეგებმა ამომწურავად მიიღეს სარგებელი აღნიშნული კვლევის დახმარებით და გამოთქვეს მზაობა, მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესი გაუმრავალფეროვნონ სხვადასხვა სახალისო და მოტივაციის გასაუმჯობესებელი აქტივობებით.

უნდა აღვნიშნო რომ, მომავალშიც განვახორციელებ მსგავსი ტიპის კვლევებს სხვადასხვა პრობლემის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით, გავზრდი კვლევის არეალს, ავიმაღლებ თანამშრომლობით უნარებს და მუდმივად ვიზრუნებ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საუკეთესო სურვილებით ნინო აზირაშვილი